

transparenz

EthicCapital–საქართველოში დაარსების პროცესში მყოფი კოოპერატივი

EthicCapital-ის სახით, საქართველოში შეიქმნა საკრედიტო კავშირი, რომელიც ფულისადმი განსხვავებული მიდგომის დანერგვისათვის იზრუნებს. ეს ინიციატივა ადამიანთა პატარა ჯგუფიდან დაიწყო, რომელსაც სურვილი ჰქონდა სასარგებლო, რაციონალური წვლილი შეეტანა იმ საზოგადოებაში, რომელიც პოლიტიკური მერყეობებითა და სოციალური ცვლილებებით დაზნეულია. საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატია, ამჟამად იმ მგრძნობიარე ფაზაში იმყოფება, რომელშიც ცნობიერების ჩამომყალიბებელი იმპულსები და ახალი გზები მნიშვნელოვანია.



კერძო დონორებმა „საერთაშორისო მიგრაციისა და განვითარების ცენტრმა“ (CIM), Hermes Österreich-მა და Evidenz Stiftung-მა დავით ნიგურაიანს მისცეს საშუალება დაბრუნებულიყო სამშობლოში და დაეარსებინა არაკომერციული კავშირი – **EthicFinance**-ი, რომლის მთავარი მიზანი ფულის ეთიკური გამოყენებისათვის ზრუნვაა. ამ საქმისათვის იმპულსის მიმცემი და ნდობის ჩამოყალიბებისათვის საფუძველის შემქმნელი დავით ნიგურაიანის მიერ გერმანიაში მიღებული განათლება და ასევე ქალაქ ბოხუმის GLS Bank-ში შეძენილი სამუშაო გამოცდილება აღმოჩნდა.

საკრედიტო კავშირის მახასიათებლები:

1. კოოპერატივიდან გასვლის შემთხვევაში წევრს არ უზრუნდება პაის შექმნისათვის გადახდილი თანხა; შესაძლებელი მხოლოდ მისი გადაცემა სხვა მსურველისათვის;
2. საკრედიტო კავშირის წევრები უარს აცხადებენ დივიდენდის მიღებაზე;
3. პაის რაოდენობის მიუხედავად, საკრედიტო კავშირის ყველა წევრს აქვს მხოლოდ ერთი ხმის უფლება;
4. საკრედიტო კავშირის ძირითადი მიზანია არა მოგება, არამედ წარმატებული ინიციატივები, მდგრადი და მომავალზე ორიენტირებული პროექტები, სიღარიბის დაძლევა;
5. ეთიკაპაზიტალის საკრედიტო საქმიანობა არის გამჭვირვალე: წევრები იქნებიან ინფორმირებულნი თავიანთი ფულის გამოყენების შესახებ. გამოქვეყნდება საკრედიტო კავშირის მიერ მხარდაჭერილი კლიენტების პროექტები. ასეთი გახსნილი, გამჭვირვალე საკრედიტო საქმიანობა კი საქართველოს ფინანსური სამყაროსათვის ფულთან მოპყრობის სრულიად ახალი, უცნობი ფორმაა;
6. საკრედიტო კავშირის წევრები უარს აცხადებენ საპროცენტო განაკვეთის მიღებაზე, რაც იაფი სესხის გაცემის საშუალებას იძლევა. დაწესებული საპროცენტო განაკვეთი კი ითვალისწინებს მხოლოდ მომსახურებასა და რისკებთან დაკავშირებულ ხარჯებს;
7. მეანბრეს აქვს უფლება განსაზღვროს სფერო, რომელშიც მის მიერ დაბანდებული ფული უნდა იქნეს გამოყენებული.

transparenz

EthicCapital-თან დაკავშირებულ ადამიანებს სურთ:

- საზოგადოებაში ჯანსაღი და მდგრადი ეკონომიკის ფორმირებისათვის ცნობიერების გაღვივება; ასევე ადამიანთა ყურადღების გამახვილება პროდუქტებისა და პროექტების ხარისხზე, რადგან ფულმა უნდა შეასრულოს არა უბრალოდ საქონლის ან სპეკულაციის ობიექტის დანიშნულება, არამედ უნდა ემსახუროს თავად ადამიანს.
- ანტროფოსოფიული იდეებით ინსპირირებული ფინანსური ურთიერთობების რეალიზაცია; რაც ფულის, როგორც საშუალების და არა მიზნის გამოყენებას გულისხმობს.
- იმ ადამიანთა მხარდაჭერა, რომელნიც პასუხისმგებლობას ატარებენ თავიანთი ფინანსებით განხორციელებული საქმიანობის შედეგებზე;
- კოოპერირებისადმი ნდობის ჩამოყალიბება.

პირველი ნაბიჯის შემდეგ – რაც ძირითადად ისეთი თეორიული და პრაქტიკული საქმიანობები იყო, როგორცაა, მაგალითად, სამუშაო სივრცისა და თანამშრომელთა მოძიება – 2009 წლის დასაწყისში დავით ნიგურიანმა დაიწყო საჭირო გარემოცვის შექმნა: ის აწარმოებდა შეხვედრებს ცალკეულ პირებთან და ორგანიზაციებთან. ადამიანები გამოდიოდნენ ინიციატივით, ინტერესდებოდნენ პროექტით ან ეძებდნენ მხარდაჭერას.

აღსანიშნავია, რომ **EthicFinance**-ი, ისეთ ორგანიზაციებსა და ინიციატივებს უწევს ფინანსურ და ბუღალტრულ კონსულტაციას და აკავშირებს უცხოურ დაწესებულებებსა და ექსპერტებთან, რომლებიც დაკავებულნი არიან ეკოლოგიური სოფლის მეურნეობით, ან წარმოადგენენ სოციალურ დაწესებულებებს, რომელთაც ანტროფოსოფიული საფუძველი აქვთ.

მიზანი ნათელია: ფინანსური კუთხით იმ ადამიანებისა და ორგანიზაციების მხარდაჭერა, რომელთაც ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივი ბანკები საკუთარი საქმიანობის განვითარების საშუალებას ვერ აძლევენ. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო დაფინანსებას უცხოეთიდან იღებს, აუცილებელია საგარეო ფულის წყაროზე მიჯაჭულობა გარდაიქმნას დამოუკიდებელ, მდგრად ეკონომიკურ საქმიანობად, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საზოგადოებაში არსებული მიდგომების გადაფასების პროცესს.

საქართველო არის ქვეყანა, რომელიც ამჟამად ეკონომიკის აღმავლობის ფაზაში იმყოფება და სადაც პოლიტიკურ-სტრუქტურული საფუძვლები სტაბილურია. ათწლეულების მანძილზე ჩვენ მომსწრენი ვიყავით ევროპის გაერთიანების. უკანასკნელ პერიოდში ამ პროცესში საქართველო აქტიურად ჩაერთო და, სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ევროპული ბანკების მაგალითზე დაარსდეს ალტერნატიული ფინანსური ინტიტუტები. ეს ნაბიჯი კი, შესაძლოა, საქართველოში შეხედულებების გადაფასებისა და ევროპაში სამომავლო ინტერგრაციის პროცესისათვის ხელისშემწყობი აღმოჩნდეს.

აქედან გამომდინარე აუცილებელია სხვა ფორმები და ფულადი საშუალებები. საკრედიტო კავშირის საშუალებით ფული ადამიანთაგან, რომელთაც გაცემის სურვილი და შესაძლებლობა აქვთ, გადაეცემათ სასარგებლო, რაციონალური საქმიანობით დაკავებულ ადამიანებს. საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ინტენსიური მომზადებისა და მოლაპარაკებების შედეგად, 2010 წლის ოქტომბერში შესაძლებელი გახდა ინიციატორებისა და

transparenz

დაინტერესებული პირების მიერ საკრედიტო კავშირის დაარსება. რეგისტრაციის შემდეგ მოხდა საქართველოს ეროვნულ ბანკში ლიცენზიის განაცხადის შეტანა - 50 კაციანი წევრთა მინიმალური რაოდენობით, რომელთა შორის არიან გერმანელი და შვეიცარიელი მოქალაქეები, ასევე საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველები.

მიზანი განსაზღვრულია: კრედიტის გაცემის გზით იმ ადამიანებთან თუ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი მხარდაჭერა, რომელთა სურვილია ეთიკურად გონივრული საქმიანობის წარმოება, ერთეულების მიერ გაწეული სამუშაოთი საზოგადოებისათვის იმპულსის მიცემა.

საკრედიტო კავშირის ფულთან დამოკიდებულების თვალსაზრისით სესხება ფინანსური შუამავლობის მთავარი საყრდენია, რომელიც განვითარების გარკვეულ ეტაპზე შესაძლებელია გრანტადაც იქცეს. **EthicCapital**-ის მთავარი მიზანია, შექმნას სოციალური და ეკოლოგიური ცნობიერების ადამიანების შეხვედრის ადგილი, სადაც მოხდება მათი ინტერესების, მიზნებისა და გამოცდილებების გაზიარება ლექციებისა და სემინარების საშუალებით. **EthicCapital**-ს, სურს წვლილის შეტანა ისეთი ქსელის ფორმირებაში, რომელიც იდეურ მხარდაჭერას გაუწევს საზოგადოებრივ ცვლილებებს. ეს მისწრაფება სათავეს იღებს ეთიკფინანსის საქმიანობაში, გაგრძელებასა და განვითარებას კი კპოვებს **EthicCapital**-ში, მიზანმიმართული ფინანსური სისტემის დანერგვით.

მოდელი ითვალისწინებს: „საქართველოში თანამედროვე საფინანსო ინსტიტუციის ჩამოყალიბებას, რაც შესაძლებელი გახდება პარტნიორთა პასუხისმგებლობით გამსჭვალული დამოკიდებულებით, საკრედიტო კავშირ – **EthicCapital**-ის წევრთა ინტენსიური მუშაობისა და სამუშაო პროცესების გამჭვირვალობის საშუალებით“.

რა ბედი ეწევა EthicFinance-ს? არაკომერციული კავშირი კვლავ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს **EthicCapital**-ის განვითარებაში და მხარდამჭერი ფუნქციის შესრულებას განაგრძობს. ამ უკანასკნელში კი იგულისხმება ბოლო ორი წლის მუშაობის შედეგად შექმნილი ქსელი (ბიო-საზოგადოებები; ანტროფოსოფიული ორგანიზაციები და კერძო პირები), რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს კოოპერატივის განვითარებაში. ამასთან აღსანიშნავია, რომ **EthicCapital**-ი მუშაობს **EthicFinance**-ის ოფისში და სწორედ მისი 5 თანამშრომელი გაუწევს საკრედიტო კავშირს შემდეგი სახის მომსახურებას: მენეჯმენტი და ბუღალტერული კონსულტაცია; ასევე ადამიანებსა და უცხოურ ინიციატივებს შორის შუამავლობა.

EthicCapital-ის საქმიანობა, სოციალურ და კულტურულ სფეროსთან ერთად, იქნება ისეთი ინიციატივები და პროექტები, რომლებიც გარემოსადმი პასუხისმგებლობიანი დამოკიდებულებით გამოირჩევიან და ალტერნატიული ენერჯით დაინტერესებულნი არიან. აღსანიშნავია, რომ **EthicCapital**-ის დაარსების ინიციატივას დადებითი გამოხმაურება მოჰყვა, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში მცხოვრები მეგობრების მხრიდანაც. ახალი ინიციატივა დიდი სიხარულით ეგებება შემდგომ იმპულსსა და დაინტერესებულთა წამოწყებებს და სავსეა დასახული მიზნების მიღწევის მოტივაციით.

დავით ნიგურანი